



ეროვნული ბანკის როლი საზოგადოებისა და საფინანსო სექტორის ურთიერთობაში ბაზარზე არსებული კონკურენციის პირობებში

რეზიუმე

თამარ თალაკვაძე

სტუ-ს დოქტორანტი

E-mail: talakvadtetamari@yahoo.com

საქართველოს ეროვნული ბანკი არის საქართველოს ცენტრალურ ბანკი. იგი დამოუკიდებელია თავის საქმიანობაში და მისი ქმედებები რეგულირდება „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ კანონით. ფინანსური მდგომარეობისა და გამჭვირვალობის ხელშესაწყობად იგი ზედამხედველობას უწევს საფინანსო სექტორს. მიმართა, რომ მისი თითოეული რეგულაცია უნდა ემსახუროდეს მოსახლეობისა და საფინანსო სექტორის ურთიერთობათა მოწესრიგებას ისე, რომ თითოეული მხარის ინტერესები თანაბრად იყოს დაცული.

საკვანძო სიტყვები: საქართველოს ეროვნული ბანკი, მომხმარებელი, კანონი, რეგულაცია.

ეროვნული ბანკი საზოგადოებისა და საფინანსო სექტორის თანამშრომლობას უნდა არეგულირებდეს ისეთი მექანიზმებით, რომ ორივე მხარის ინტერესები და უფლებები თანაბრად იყოს დაცული.

საკითხი განსაკუთრებით აქტუალურია, დღევანდელ პირობებში, როცა მოსახლეობის დიდი ნაწილი სარგებლობს საფინანსო სექტორიდან აღებული არც თუ ისე დაბალ პროცენტთან კრედიტით.

გამსესხებელი, ყოველთვის დაინტერესებულია ნებისმიერ სფეროში ჩადებული კაპიტალიდან მიიღოს მაქსიმალური სარგებელი, თუმცა მოგების მაქსიმიზაციის სურვილი უნდა ექვემდებარებოდეს კეთილსინდისიერ ჩარჩოებს და მოსახლეობის გადარიბების ხარჯზე არ უნდა მოხდეს ცალკეული სუბიექტების გამდიდრება, ამ ყველაფერში კი შუამავლის როლი უნდა ითამაშოს ეროვნულმა ბანკმა, რომელმაც საფინანსო სექტორში ხელი უნდა შეუწყოს ჯანსაღ კონკურენციას, გაატაროს მკაცრი რეგულაციები და უზრუნველყოს მომხმარებლის უფლებათა მაქსიმალურად დაცვა.

საფინანსო ინსტიტუტებს მიეკუთვნება როგორც კომერციული ბანკები, ასევე მიკროსაფინანსო ორგანიზაციები. იმ სეგმენტს რომელსაც

ბანკი არ განიხილავს პოტენციურ მსესხებლად მაქსიმალურად ითვისებს მიკროსაფინანსო სექტორი, ისინი ბანკებისაგან განსხვავებით, ხშირად არ ითვალისწინებენ არის თუ არა მსესხებელი კრედიტინგოს ე.წ. „შავ სიაში“ და შესაბამისი უზრუნველყოფის შემთხვევაში ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე გაცემენ სესხებს. სესხების მარტივად გაცემის მიუხედავად, ეროვნული ბანკის მონაცემებით, რისკის კუთხით მიკროსაფინანსო ორგანიზაციების საკრედიტო პორტფელი ბანკებთან შედარებით საკმაოდ ჯანსაღია, რადგან თითქმის ყველა სესხი სრულადაა უზრუნველყოფილი.

დღევანდელ რეალობაში მოსახლეობის დიდი ნაწილი იმყოფება ე.წ. „შავ სიაში“ და აქვს მიმდინარე ვადაგადაცილება, რადგან ეს სეგმენტი საფინანსო ინსტიტუტებისათვის გამოუსადეგარია, დარჩენილი სეგმენტის ათვისება მათში ამბაფრებს კონკურენციას და ისინი სხვადასხვა აქციით, საშეღავათო პერიოდის დაწესებით, გაცემის ან წინსწრების საკომისიოებზე შეღავათებით ცდილობენ მაქსიმალურად მიიზიდონ პოტენციური მომხმარებლები.

2014 წელს, ჩემს საბაკალავრო ნაშრომში („საეკონომიკური არასაბანკო საკრედიტო-საფინანსო ინსტიტუტები“) გავაკეთე პროგნოზი, რომ მისო კრედოს ჰქონდა პოტენციური მოკლე დროში დაეკავებინა ღირსეული ადგილი ქართული კომერციული ბანკების გვერდით, პროგნოზი გამართლდა და „კრედოს“ სახით ახალი კონკურენტი შეემატა საბანკო სექტორს.

ამგვარად, მირსო საფინანსო ორგანიზაციათა ფუნქციონირება ფინანსური ბაზარზე საკმაოდ მნიშვნელოვანია. როგორც წესი, დაბალშემოსავლიანი მოსახლეობა თუ სოციალურად დაუცველი ფენა არ წარმოადგენს საბანკო ინსტიტუტების მიზნობრივ სეგმენტს. სწორედ ამ თავისუფალ ნიშას ავსებენ მიკროსაფინანსო ორგანიზაციები. თუმცა აუცილებლად უნდა ვისაუბროთ იმაზე, თუ რის ფასად უჯდება მო-



სახელობას მათგან აღებული სესხების გადახდა.

ეროვნული ბანკის როლის განსასაზღვრავად და საქმიანობის შესაფასებლად გავისხენებ იმ რეგულაციებს რომელიც ბოლო ერთი წლის მანძილზე შეიმუშავა და განახორციელა, კომერციული ბანკების ზემდგომმა ბანკმა. აქვე მოგახსენებთ მიმდინარე რეგულაციებზე რაც როგორც ცნობილია ამოქმედდება 2019 წლიდან. 2016 წლიდან განსაკუთრებით შესამჩნევი გახდა ლარის გაუფასურების ტენდენცია, რამაც შედეგად პირველადი მოხმარების საქონელსა და მომსახურებაზე ფასების მნიშვნელოვანი ზრდა გამოიწვია. ეროვნულმა ბანკმა ამ პრობლემის ეფექტურად გადაჭრის მიზნით მთავრობასთან თანამშრომლობით შეიმუშავა ლარიზაციის 10 პუნქტიანი გეგმა, რომლის ამოქმედებისთანავე მოსახლეობის დიდმა ნაწილმა მიიღო შედეგით. როგორც ეროვნული ბანკი თავის 2017 წლის ანგარიშში გვაუწყებს წლის განმავლობაში სესხების დოლარიზაციის მაჩვენებელი 8 პროცენტული პუნქტით შემცირდა, ხოლო დეპოზიტებისთვის კი - 5 პროცენტული პუნქტით. ამავე პერიოდში კომერციულმა ბანკებმაც მნიშვნელოვნად დაწიეს საპროცენტო განაკვეთები ვალუტაში განთავსებულ დეპოზიტებზე. მიკროსაფინანსო ორგანიზაციების სესხების დოლარიზაცია კი 26 პროცენტი გახდა რაც წინა პერიოდთან შედარებით (53%) პოზიტიური მაჩვენებელია.¹

ეროვნული ბანკი მიიჩნევს, რომ ლარიზაციის წასახალისებლად საჭიროა კაპიტალის ბაზრის განვითარება, რაც ბაზარზე ხელმისაწვდომს გახდის ლარის რესურსს.

შეინიშნებოდა ტენდენცია, რომ მომხმარებელთა ის ნაწილიც კი რომელსაც შემოსავალი ჰქონდა ლარში უფრო მომხიბვლელი საპროცენტო განაკვეთის გამო, ასევე უძრავი ქონების უმეტესად უცხოურ ვალუტაში გასხვისებისა თუ კომერციული ბანკების მიერ შეთავაზებული სხვა სტიმულების შესაბამისად, აფიქსირებდნენ ირაციონალურ ქცევას და სესხებს დოლარში იღებდნენ. მოგვიანებით გაუფასურებული ლარის პირობებში მათ ამ სესხის გადახდის შემდეგ უჭირდათ მინიმალური საყოფაცხოვრებო მოთხოვნილებების დაკმაყოფილება და ხშირ შემთხვევაში ან ვადაგადაცილებული სესხების და შესაბამისად ჯარიმების დაფარვა უწევდათ ან ბევრ მათგანს პრობლემიდან თავის

დასაღწევად ქონების გასხვისებაც კი მოუხდა.

მსგავსი რისკის მინიმუმამდე დასაყვანად ეროვნულმა ბანკის ინიციატივით 2017 წლის 17 იანვარს სამოქალაქო კოდექსში შევიდა ცვლილება, რომლის თანახმად თუ მომხმარებლის მიერ აღებული სესხი აღემატება 100 000 ლარს სესხი უპირობო წესით ლარში უნდა გაიცეს.²

ზემოთ მოგახსენეთ, რომ ძირითადად ქონების გასხვისება ვალუტაში ხდება. რაც ლარიზაციის შემაფერხებელი ბარიერია, ამასთან დაკავშირებითაც მოხდა რეგულაციის შემუშავება, კერძოდ, 2017 წლის 1 ივლისიდან ძალაში შევიდა ცვლილებები „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ კანონში რომლის თანახმად იურიდიულ პირებს ეკრძალებათ ფასის გამოცხადება უცხოურ ვალუტაში.³

ეროვნული ბანკის ანგარიშის თანახმად, კომერციულ ბანკთა მიერ გაცემული სესხების ხვედრითი წილი 2017 წლის მონაცემებით 2016 წელთან შედარებით მნიშვნელოვნად გაიზარდა. ძირითადი ზრდა საცალო და მცირე და საშუალო სეგმენტში შეინიშნებოდა. ამ ყველაფრის ფონზე გაიზარდა დასაქმებულთა ხვედრითი წილი და ერთ სულ მოსახლეზე მთლიანი შიდა პროდუქტის მაჩვენებელმაც მოიმატა. ამის სტიმულატორი იყო გამძაფრებული კონკურენცია, რომლის პირობებშიც ბანკებმა იპოთეკური სესხების გაცემაში მნიშვნელოვანი კორექტივები შეიტანეს და უფრო გამართვიდა სესხის გაცემის პროცედურა.

2017 წელს ზემოაღნიშნული რეგულაციების შედეგიც აშკარა გახდა, კერძოდ მნიშვნელოვნად შემცირდა რისკ ფაქტორი სასესხო პორთფელში. კონკრეტულად 90 და მეტი დღით ვადაგადაცილებული სესხების წილი მთლიანი საკრედიტო პორტფელის 2.81 პროცენტს შეადგენს, რაც სხვა ქვეყნებთან შედარებითი ანალიზის პირობებში საკმაოდ დადებით მაჩვენებლად შეგვიძლია მივიჩნიოთ.

საბანკო პორთფელის მომგებიანობა გაზარდა ასევე ანაბრების მნიშვნელოვანმა ზრდამ. თუმცა მოგების ზრასთან ერთად უნდა მოგახსენოთ, რომ დაფიქსირდა საოპერაციო დანაკარგებიც, განსაკუთრებით საბანკო მომსახურების ბიზნეს ხაზში. გლობალურად ინტეგრაციამ ბევრ დადებით ეფექტთან ერთად მოგვიტანა კიბერ თავდასხმების საფრთხეც, რისი პრევენციის შესახებ ეროვნული ბანკი აქტიურ

¹ ბანკი, ს. ე. (2017). წლიური ანგარიში. თბილისი.

² იქვე.

³ იქვე.



კომუნიკაციას აწარმოებს კომერციულ ბანკებთან. ეროვნული ბანკი კომერციულ ბანკებთან რეკომენდაციებით და აქტიურად თანამშრომლობით აგრძელებს გრძელვადიან სამოქმედო სტრატეგიაზე აქტიურ მუშაობას, რომ დადებითი ეფექტი მაქსიმალურად ყველასთვის იყოს საგრძნობი.

2018 წლის 11 იანვრიდან ვალუტის გამცვლელ პუნქტებზე გაიზარდა ეროვნული ბანკის ზედამხედველობა, რაც მომხმარებელთა უფლებების დასაცავად წინ გადადგმულ ნაბიჯად შეიძლება ჩაითვალოს. განისაზღვრა გაცვლილი ვალუტის უკან დაბრუნების წესი.

„კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებებით განისაზღვრა საბანკო საქმიანობის ლიცენზიის მისაღებად წარსადგენი მონაცემები და დოკუმენტაცია. კანონმდებლობაში შეტანილი ცვლილებების თანახმად კომერციულ ბანკებს დაუწესდათ შეზღუდვები არაპროფილურ ბიზნეს სექტორში საქმიანობასთან დაკავშირებით.

2017 წლის 23 დეკემბერს „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ კანონში“ შეიტანეს ცვლილება რომლის თანახმად ეროვნული ბანკი უფლებამოსილია ზედამხედველობა გაუწიოს მისო-თა საქმიანობას. ცვლილების თანახმად გამკაცრდა მისო-თა სარეგისტრაციო რეგულაციები, მათ შორის საწესდებო კაპიტალზე მოთხოვნა, ასევე დაწესდა სარეგისტრაციო მოსაკრებელი. კერძოდ კანონში შეტანილი ცვლილებების თანახმად გაიზარდა ეროვნული ბანკის უფლებები მიკროსაფინანსო სექტორის ზედამხედველობასთან დაკავშირებით. მიკროსაფინანსო ორგანიზაციის მინიმალური განადგებული კაპიტალის ოდენობა 1 000 000 ლარამდე გაიზარდა და დადგინდა მიკროსაფინანსო ორგანიზაციის ადმინისტრატორთა შესაფერისობის კრიტერიუმები. ასევე აღსანიშნავია, რომ დამკვიდრდა მიკროსაფინანსო ორგანიზაციის ლიკვიდაციის ცნება. ლიკვიდაციის პროცესს წარმართავს ეროვნული ბანკის მიერ დანიშნული პირი, ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წესების შესაბამისად. თუმცა შედეგად გამკაცრებული მოთხოვნების პირობებში ახლად რეგისტრირებული მისო-ები ეწევიან მეტად ხისტ საკრედიტო პოლიტიკას, არ ერიდებიან მაღალრისიანი სესხების გაცემას, და აწესებენ ძალიან მაღალ საპროცენტო განაკვეთს.⁴

ეროვნული ბანკის რეგულაციებიდან უნდა

გამოვეო ბოლო ინიციატივა, რომელიც კომერციულ ბანკებს მომხმარებლის მხრიდან შემოსავლის დადასტურების გარეშე სესხის გაცემას უკრძალავს. ქვეყანაში მწვავედ დამდგარმა ჭარბვალიანობის პრობლემამ საჭირო გახდა ასეთი ზომების მიღება. თუმცა ამ ყველაფრიდან გამომდინარე იმ კეთილსინდისიერ გადაწყვეტილებებს, რომლებიც თვითდასაქმებულნი არიან შეეზღუდათ სესხის აღება, კარგი იქნება თუ საკითხი დარეგულირდება ისეთი ფორმით, რომ თვითდასაქმებულებსაც ჰქონდეთ სესხით სარგებლობის შესაძლებლობა. როგორც ცნობილია 2019 წლიდან ეს რეგულაცია მიკროსაფინანსო სექტორსაც შეეხება და შემდგომ თვითდასაქმებულთა სეგმენტი რომელიც არცთუ ისე მცირეა ჩვენს ქვეყანაში, კერძოდ მევახშეთა და ღობბარდთა ანაბარა დარჩებიან. სადაც საპროცენტო განაკვეთი გაცილებით მაღალია. ეს ქმედება ეროვნულმა ბანკმა გრძელვადიანი მოგების პერსპექტივით ახსნა, ხოლო მოკლევადიან პერსპექტივაში ფაქტია, რომ აღნიშნული შეზღუდვა გარკვეულწილად აფერხებს საყოველთაო ეკონომიკურ პროგრესს.


თავისმხრივ ეროვნული ბანკის გამკაცრებული რეგულაციის პირობებში კომერციული ბანკებიც ცდილობენ ფეხი აუწეონ თანამდროვე მოთხოვნებს და მომხმარებელზე მეტად მორგებული სესხები შექმნან. რომელიც თავის მხრივ ეროვნული ბანკის მოთხოვნებსაც დაეჭვმდებარება და საზოგადოების მოთხოვნილებასაც უპასუხებს. ნებისმიერ შემთხვევაში კომერციული ბანკი პრაგმატული მიზნებიდან გამომდინარე ეცდება დააინტერესოს და მიიზიდოს პოტენციური მომხმარებელი. მაგალითისთვის მოგახსენებთ, რომ თიბისი ბანკმა შეიმუშავა ახალი სესხი: „ახალი იპოთეკური სესხი FX IN GEL“⁵ რომელიც მომხმარებელს საშუალებას აძლევს სესხი უცხოურ ვალუტაში აიღოს, ხოლო ყოველთვიური დასაფარი თანხა ეროვნულ ვალუტაში გადაიხადოს. სესხის მოქნილი გრაფიკი განსაკუთრებით კომფორტული შეიძლება იყოს მხოლოდ ხელფასიდან მიღებულ შემოსავალზე დამოკიდებული მომხმარებლისთვის. ვინაიდან მომხმარებელი გათვლის კონკრეტულად მისი შემოსავლიდან რამდენი უნდა გადადოს ვალდებულების დასაფარად და თუნდაც ღარის გაუფასურების პირობებში მისი ყოველთვიური შესატანი თანხა არ გაიზრდება. რატი მაუნდა ასეთ პირობებში აღებული სესხის ვადა შეიცვლება(გაიზრდება ან შემცირდება) ღარის

⁴ ბანკი, ს. ე. (2017). წლიური ანგარიში. თბილისი.

⁵ www.tbcbank.ge



კომერციული ბანკების წმინდა მოგება/ზარალი



გაუფასურება/გამყარების პროპორციულად.

გამოიკვეთა, რომ კომერციული ბანკები უნდა იყვნენ მეტად მოქნილები, ფეხი აუწყონ თანამედროვე ბაზრის მოთხოვნებს, ხოლო ეროვნული ბანკი უნდა იყოს გონიერი ზედამხედველი და გარკვეულწილად შუამავლის როლი უნდა იკისროს მომხმარებლისა და საფინანსო სექტორის ურთიერთობაში.

ამგვარად, მივესალმები ყველა ინიციატივას არსებულ პრობლემათა გადასაჭრელად. თუმცა ნებისმიერ შემთხვევაში, ყველა რეგულაცია, საზოგადოების თითოეული სეგმენტის ინტერესების თანაბრად დაცვას უნდა ემსახურებოდეს.

სესხზე საპროცენტო განაკვეთი განსაზღვრავს იმას თუ რამდენად ხელმისაწვდომია კაპიტალი, ამიტომაც სესხზე დაწესებული საპროცენტო განაკვეთის რეგულირება მეტად აქტუალური

საკითხია ნებისმიერი ქვეყნისათვის. როცა კომპანია წარმოების საწყის საფეხურებს გადის, ან როცა სურს გაფართოება მას უნდება მოთხოვნა ფულად სახსრებზე, რისთვისაც რა თქმა უნდა უნდა მიმართოს საფინანსო სექტორს. მსოფლიო საფინანსო ბაზარზე წარმოდგენილ საპროცენტო განაკვეთებთან შედარებით ჩვენს ქვეყანაში არსებული განაკვეთი საკმაოდ მაღალია, თუმცა ასეთ ქვეყნებში ცხოვრების დონე გაცილებით უკეთესია, და ესეც უნდა გავითვალისწინოთ, რადგან დაბალი საპროცენტო განაკვეთებით ეკონომიკურად ძლიერი, განვითარებული ქვეყნები გამოირჩევიან.

სესხზე დაბალ განაკვეთს განაპირობებს როგორც დიდი ფულადი კაპიტალი, ასევე ცენტრალური ბანკის დაბალი რეფინანსირების განაკვეთი. ისინი ძალიან დაბალ პროცენტად აძლე-


ბანკების მოგების მიმართება მშპ-სთან (%)




2008 და 2009 წლებში ხაზანკო სექტორი იყო ზარალიანი



ბანკების მოგების მიმართება მშპ-სთან (%) განვითარებული ქვეყნები



ბანკების მიერ გაცემული სესხების მიმართება მშპ-სთან (%)



ენ ფულს კომერციულ ბანკებს.

საქართველოში 2008 წლამდე შეინიშნებოდა საპროცენტო განაკვეთთა კლების ტენდენცია, თუმცა აგვისტოს ომის შემდეგ დაწყებულმა ეკონომიკურმა კრიზისმა, საპროცენტო განაკვეთები ჯერ თითქმის 2003 წლის განაკვეთებს გაუთანაბრა და შემდგომ კიდევ უფრო გაზრდა. შესაბამისად კომერციული ბანკის მოგება 2008-2009 წლებში ძალიან დაბალ ნიშნულზე ჩამოვიდა, თუმცა შეინიშნება ზრდის ტენდენცია და 2017 წელს კომერციული ბანკების წმინდა მოგება გასულ წლებთან შედარებით მნიშვნელოვნად გაზრდილია.⁶

ბანკების მოგების ზრდა პირდაპირ კავშირშია მთლიან შიდა პროდუქტთან, ამ კუთხით ქართული საფინანსო სექტორი მსოფლიოში ერთ-

ერთი გამორჩეულია, ვინაიდან მოგების თვალსაზრისით ერთერთი მოწინავეა მსოფლიო ბაზარზე.


კერძოდ ბანკების მოგების მაჩვენებელი მშპ-სთან მიმართებაში თითქმის 2,2%-ს აღწევს.

რაც ერთ-ერთი მაღალი მაჩვენებელია განვითარებული ქვეყნების საბანკო სექტორის ანალოგიურ მაჩვენებლებთან შედარებით.

მაშინ, როდესაც ბანკების მიერ გაცემული სესხების თანაფარდობა მშპ-სთან ერთ-ერთი დაბალია იგივე შესადარი ქვეყნების მაჩვენებელთან

ეს გარემოება მეტყველებს იმაზე, რომ ჩვენზე გაცილებით უფრო დიდი და განვითარებული ეკონომიკის მქონე ქვეყნებში, საბანკო სექტორის კონტრიბუცია ეკონომიკის დაკრედიტებაში არის

⁶ ფინანსები, ბ. დ. (2018). როგორია სტაბილურად მზარდი საბანკო სექტორის როლი ეკონომიკურ ზრდაში. თბილისი.



მაღალი, ხოლო წმინდა მოგება მშპ-სთან მიმართებაში დაბალი. საქართველოში კი პირიქით, სესხების მოცულობა მშპ-სთან ერთ-ერთი ყველაზე დაბალი, ხოლო წმინდა მოგების მაჩვენებელი მშპ-სთან მიმართებაში ერთ-ერთი ყველაზე მაღალი მსოფლიოში.⁷

ეროვნული ბანკის მონაცემებით, 2017 წლის დეკემბრის მდგომარეობით კომერციული ბანკების მიერ საქართველოს ეკონომიკაზე გაცემული სესხების ჯამურმა მოცულობამ 21.7 მილიარდი ლარი შეადგინა. მთლიანი სასესხო პორტფელის ლარიზაციის მაჩვენებელი 40.7%-ია, რაც 2016 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 5.3%-ით მეტია. ლარის სესხების ზრდის მთავარი მიზეზი 100 000 ლარამდე სესხების დოლარში გაცემის აკრძალვა და დედოლარიზაციის სხვა რეგულაციებია.

აღნიშნული სტატისტიკა ცხადყოფს, რომ ლარში გრძელვადიანი სესხის განაკვეთი დოლართან შედარებით ორჯერ ძვირია.

2017 წელს ლარში გაცემულ სესხებზე საშუალო წლიური საბაზრო საპროცენტო განაკვეთი 4.5% პუნქტით გაიზარდა და 22.7% შეადგინა. დოლარში გაცემულ სესხებზე განაკვეთი 0.8% პუნქტით შემცირდა და 7.9%-ს გაუტოლდა. ლარში გაცემულ სესხებზე საპროცენტო განაკვეთი ფიზიკურ პირებზე გაცემულ სესხებზე გაიზარდა, რაც ე.წ. ლარიზაციის პროგრამამ გამოიწვია.

პროგრამების ფარგლებში ფიზიკურ პირებზე 100 000 ლარამდე სესხის დოლარში აღება აიკრძალა, რამაც ლარში დაკრედიტებაზე მოთხოვნა და შესაბამისად სესხის პროცენტი გაზარდა.

2017 წელს საქართველოს კომერციული ბანკების მიერ ლარში გაცემული სესხების მოცულობა 2.6 მილიარდი ლარით, პროცენტულად 39%-ით გაიზარდა. ხოლო უცხოურ ვალუტაში გაცემული სესხები 190 მლნ დოლარით (4%-ით) გაიზარდა. ლარში გაცემული სესხების ნაზარდიდან 828 მლნ ლარი სამომხმარებლო სესხების გაცემების ხარჯზე დაფიქსირდა. 2018 წლის პირველი იანვრის მდგომარეობით სულ 21.9 მილიარდი ლარის (ბანკთაშორისი სესხების გამოკლებით) სესხია გაცემული. საერთო სესხებში უცხოურ ვალუტაში გაცემული სესხების წილი 58%-ია. ერთი წლის წინ ეს მაჩვენებელი 65.4% იყო. შეგვიძლია გაგვეთვით დასკვნა რომ დედოლარიზაციის პოლიტიკა ნელი ტემპით მაგრამ მაიც მუშაობს.

ვადაგადაცილებული სესხების მოცულობა 19 მლნ ლარით (4.7%-ით) შემცირდა და 392 მლნ ლარი შეადგინა. მთლიანი საკრედიტო პორტფელის მიმართ ვადაგადაცილებული სესხების მოცულობა 1.8%-ია, რაც ბოლო ორ წელიწადში მინიმალური მაჩვენებელია. 2017 წლის პირველ იანვარს მაჩვენებელი 2.2 %გახდლათ.⁸ დედოლარიზაციის საკანონმდებლო პაკეტით

⁷ ფინანსები, ბ. დ. (2018). როგორია სტაბილურად მზარდი საბანკო სექტორის როლი ეკონომიკურ ზრდაში. თბილისი.

⁸ ბანკი, ს. ე. (2017). წლიური ანგარიში. თბილისი.



ქვეყანაში სესხების საპროცენტო განაკვეთზე ერთიანი ლიმიტი დაწესდა 100%-ის ოდენობით, აიკრძალა 100 ათას ლარამდე სავალუტო სესხების გაცემა, აიკრძალა რეკლამირებისას ქონების/მომსახურების საფასურის დოლარში მითითება. ასევე, ძალაში შევიდა სესხების “გალარების” ნორმები, რომლითაც მოქალაქეებს დოლარში აღებული იპოთეკური სესხების ლარში გადაყვანა შეეძლოთ, რისთვისაც მთავრობა მათ სპეციალურ სუბსიდიას აძლევდა. “გალარების” აქციით \$80 მილიონი დოლარის ღირებულების სასესხო პორტფელი გალარდა.⁹

დედოლარიზაციის სამთავრობო პროგრამის მიზანი უცხოურ ვალუტაზე მოსახლეობის დამოკიდებულების შემცირებაა.

მიმდინარე წლის სექტემბრის თვიდან მოსახლეობა პანიკამ მოიცვა ბანკები სესხებზე, განსაკუთრებით იპოთეკურ სესხებზე განაცხადების მიღებას ვერ აუდიოდნენ, მიზეზი გახლდათ ეროვნული ბანკის მიერ დაანონსებული მოსალოდნელი რეგულაცია, რომელიც განსაკუთრებით ამკაცრებდა სესხის გასაცემად აუცილებელ მოთხოვნებს, რეგულაცია 1 ნოემბრიდან უნდა შესულიყო ძალაში თუმცა ეროვნულმა ბანკმა 2019 წლის 1 იანვრამდე გადადო

მისი სისრულეში მოყვანა. ეროვნული ბანკის განმარტების თანახმად; ამ რეგულაციის მიზანია საქართველოში ჯანსაღი დაკრედიტების წახალისება და სტაბილური საფინანსო სისტემის ჩამოყალიბება. რეგულაციის თანახმად, ვერც საბანკო და ვერც მიკროსაფინანსო სექტორი, ფიზიკურ პირს იმაზე მეტ ვალდებულებას ვერ დააკისრებს რისი გადახდის რეალური შესაძლებლობასც მსესხებელს (თავდებს) ექნება. დებულება ითვალისწინებს სალომბარდო სესხებსაც, რომელთა გაცემა არ მოითხოვს შემოსავლის შეფასებას, თუმცა ამ შემთხვევაში ფიზიკური პირის ვალდებულება მხოლოდ გირაოს საგნით იქნება შემოსაზღვრული.

ამგვარად, ეროვნული ბანკი რომელიც კომერციული ბანკების ზემდგომი ბანკია უნდა ატარებდეს რაციონალურ პოლიტიკას და ეფექტურ ღონისძიებებს საფინანსო სექტორისა და მოსახლეობის ურთიერთობის იმგვარად დასარეგულირებლად, რომ ოროვე მხარის უფლებები იყოს მაქსიმალურად დაცული. ამავდროულად მან, ნებისმიერი ღონისძიების გატარებამდე, უნდა მოახდინოს ბაზრის სეგმენტური ანალიზი და მის მიერ შემუშავებული რეგულაცია მაქსიმალურად უნდა მოერგოს ყველა სეგმენტის მოთხოვნას.

გამოყენებული ლიტერატურა:

- 1) საქართველოს ეროვნული ბანკის წლიური ანგარიში 2017.
- 2) Forbes.ge „2017 წელს ლარში გაცემულ სესხებზე საპროცენტო განაკვეთი 4.5% პუნქტით გაიზარდა” 25 იანვარი, 2018. საქართველო

- 3) www.tbcbank. თიბისი ბანკი
- 4) ბანკები და ფინანსები, სტატია „როგორია სტაბილურად მზარდი საბანკო სექტორის როლი ეკონომიკურ ზრდაში”. შოთა გუგუშვილი.

THE ROLE OF THE NATIONAL BANK IN THE FIELD OF PUBLIC AND FINANCIAL SECTOR IN THE COMPETITION ON THE MARKET

TAMAR TALAKVADZE

PhD of GTU

E-mail: talakvadzetamari@yahoo.com

Summary

The National Bank of Georgia is the central bank of Georgia. According to the Constitution of Georgia, the National Bank is independent in its activities. The National Bank exercises supervision over the financial sector for the purposes of facilitating financial stability. In my opinion the National Bank must protect the rights of the sector's consumers and the members of Georgian financial sector.

Key words: The National Bank of Georgia, consumer, law, regulation.

⁹ (2017). *forbes georgia*.